

## ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი

### გივი ბაღიანაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

**საკვანძო სიტყვები:** ცოდნის ეკონომიკა, ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა, ინსტიტუტების სინქრონიზაცია

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპი ხასიათდება პოსტინდუსტრიული განვითარების რიგი სპეციფიკური თავისებურებებით, რომელთაგან, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის (ცოდნის ეკონომიკის) ფორმირების აქტუალიზაცია. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია განაპირობებს ცოდნის ეკონომიკისთვის ისეთი გლობალური რაკურსის მქონე განზომილებების დამატებას, როგორცაა, მაგალითად, რესურსულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციული, კომუნიკაციური და ინსტიტუციური სტრუქტურები.

პოსტინდუსტრიული თეორიის შესაბამისად, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი რესურსი არის ინფორმაცია და ცოდნა, საწარმოო საქმიანობის ძირითადი ტიპია წარმოების მაღალი დონის ავტომატიზაცია, ძირითადი ტექნოლოგიებიდან უპირატესად გამოიყენება მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ტიპებიდან ყველაზე გავრცელებული ხდება სხვადასხვა მომსახურება. თუ ინდუსტრიაში საზოგადოებაში განმსაზღვრელი იყო სოფლის მეურნეობის სფერო, ინდუსტრიულ საზოგადოებაში – მრეწველობა, პოსტინდუსტრიულში – დეტერმინანტი ხდება უკვე თეორიული ცოდნა უნივერსიტეტებით, მისი, როგორც ცოდნის აქტიური გენერირების, თავმოყრის და ათვისების ადგილით.

ზემოაღნიშნული თავისებურებები მკაფიოდ აისახება ისეთ გავრცელებულ უკვე კარგად ცნობილ კატეგორიებში, როგორცაა გათვითცნობიერებული საზოგადოება (the knowledgeable society), ცოდნის საზოგადოება (the knowledge society) და ცოდნის ფასეულობის საზოგადოება (the knowledge-value society). აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოების ბირთვს წარმოადგენს ცოდნის ეკონომიკა, ხოლო განვითარების მთავარი ფაქტორია ადამიანისეული კაპიტალი.

აღსანიშნავია, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი ბიზნესის ყველა სუბიექტის ჭრილში. მთლიანი ინოვაციური პროცესის ეფექტანობა დამოკიდებული ხდება ცოდნაზე დაფუძნებული მეწარმეობის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს

სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობას.

ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკის ფარგლებში გასათვალისწინებელია ინსტიტუციური კომპონენტის ფორმირება, დინამიკაში მისი სისტემური მოდერნიზაცია, ზოგადი ფორმალური ინსტიტუტების და საქმიანი კულტურის, როგორც არაფორმალური ინსტიტუტის, ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და სინქრონიზაცია.

თუ გავანალიზებთ ისტორიულად მეწარმეობის ფენომენის შესახებ სამეცნიერო ეკონომიკური აზრის დინამიკას (Baumol, 1990; Блауг, 2008; Веблен, 2007; Друкер, 2007; Саймон, 1995; Макклелланд, 2007; Parava, 2017; Шумпетер, 2007; Audretsch at al., 2001; Dahlstrand at al., 2010; Grilo at al., 2006; ჰასიდი და სხვ., 2009; Светуных, 2010; Beugelsdijk, 2007; Hofstede, 2004; Acs at al., 2005), მკაფიოდ შეიძლება შევნიშნოთ თანამედროვე პირობებში ზემოაღნიშნული დებულებების ადეკვატურობა და მოთხოვნების რეალიზაციის აქტუალობა.

ინსტიტუციური ფაქტორის დიდი მნიშვნელობის შესახებ თვით სამეწარმეო საქმიანობაში მიუთითებს, მაგალითად, მეწარმეობის ცნობილი თანამედროვე მკვლევარი ვ. ბაუმოლი (Baumol, 1990), რომელიც აღნიშნავს, რომ მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი გამოიგონოს და მოიპოვოს თავისი კეთილდღეობის, ძალაუფლების და პრესტიჟის ზრდის ახალი საშუალებები. იგი ამბობს, რომ აღნიშნული უნარის რეალიზაცია ყოველთვის როდია მიმართული დამატებითი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნისაკენ. მეურნეობრივი საქმიანობის წესები განსაზღვრავენ ინდივიდის სამეწარმეო უნარის მიმართულებას და ის შეიძლება იყოს პროდუქტიული, არაპროდუქტიული ან დესტრუქტიული. როგორც აღნიშნავს ვ. ბაუმოლი, „თამაშის წესების“ შესაბამისად მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას, როგორ მიიღოს შემოსავალი: ინოვაციის დანერგვით, წარმოების აწყობით, განახორციელოს თავისი საქმიანობა კანონიერად თუ არა, თავი აარიდოს გადასაადებს ან განახორციელოს არალეგალური საქმიანობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. ბაუმოლის ზემოაღნიშნულმა კონცეფციამ მხარდჭერა მიიღო, როგორც ახალი ინსტიტუციონალიზმის თანმიმდევრების მხრიდან, ასევე ორდო-

ლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენლების მხრიდანაც (კარგად ცნობილი ვ. ოიკენის სამეურნეო წესრიგის იდეები ახლოსაა ვ. ბაუმოლის მსჯელობებთან).

აქ საინტერესოდ მიგვაჩნია ე. წ. რეტროეკონომიკის ცნების კუთხით დანახული ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიური წარმოდგენა, რაც ასევე ადასტურებს ინსტიტუტების მნიშვნელობას (რეტროეკონომიკის ცნების ავტორია ვ. პაპავა (Papava, 2017)). ავტორი რეტროეკონომიკას უწოდებს იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფორმები (ანუ რეტროფორმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს (Papava, 2016: 3).

უშუალოდ მეწარმეობის შესახებ არსებობს არაერთ-გვაროვანი შეხედულებები. მაგალითად, მ. კანტილიონის (1680-1734) აზრით მეწარმე არის ადამიანი, რომელიც ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას განუზღვრელობის არსებობის პირობებში, ხოლო მეწარმის შემოსავალი არის საჩუქარი რისკისათვის (Блауг, 2008: 115).

ჟ. სეი (1767-1832) აღნიშნავს, რომ მეწარმე ახორციელებს წარმოების ფაქტორების (მიწა, კაპიტალი და შრომა) კოორდინაციას. მისი აზრით სამეწარმეო საქმიანობა არის მეოთხე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს წარმოების ეფექტიანობას, ამასთან სამეწარმეო საქმიანობაზე საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს გარკვეული მოთხოვნა. როგორც ცნობილია, მხოლოდ XX საუკუნეში მოხდა სამეწარმეო უნარის განხილვა სპეციფიკურ ფაქტორად, ხოლო შემდგომ უკვე მეცნიერებაში გაჩნდა მეწარმის ადამიანისეული კაპიტალის ცნება.

ტ. ვებლენი (1857-1929) მიაჩნის, რომ სამეწარმეო საქმიანობის მოტივი არის მოგების მიღება. ზემოვთხსნილ მიზეზებს წყაროა ბაზარზე არასტაბილურობა, რის შექმნასაც მეწარმეები ცდილობენ (Веблен, 2007).

ი. შუმპეტერის (1883-1950) აზრით მეწარმე არის მეურნე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ინოვაციებს თავის საქმიანობაში. ინოვაციებს მიყვავართ წინასწრობის დარღვევისკენ, საქმიანი აქტიურობის აფეთქებისკენ, შედეგად კი მიიღება ეკონომიკური ზრდა. მისი აზრით, არაა აუცილებელი, მეწარმე იყოს მესაკუთრე, მთავარია, მას გააჩნდეს უნარი, დანერგოს და გამოიყენოს სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში ინოვაციები. ამასთან, მეწარმე ვერ იქნება ყოველთვის ახალი იდეების და ინოვაციების გენერატორი, მისი მთავარი ამოცანაა, გამოიყენოს საქმიანობაში სიახლეები და ამით მიიღოს მოგება (Шумпетер, 2007).

აქვე საინტერესოდ მიგვაჩნია, განვიხილოთ წარმოდგენა მეწარმეზე, გააზრებული ფსიქოლოგიის მეცნიერების კუთხით. მაგალითად, გ. საიმონი (1916-2001) ფიქრობს, რომ მეწარმის ქცევა არ არის რაციონალური და არაა მიმართული სარგებლიანობის მაქსიმიზაციისაკენ, რაც გან-

პირობებულია ადამიანის ფსიქიკური შესაძლებლობების, მეხსიერების, აღრიცხვის კონკრეტული უნარების და სხვა რეალურად არსებული პიროვნებასთან დაკავშირებული შეზღუდულობებით (Саймон, 1995: 54-72).


მაგალითად, დ. მაკლელანდი (1917-1998) მიიჩნევდა, რომ ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, ფლობენ სპეციფიკურ მოტივაციურ სისტემას, ე. წ. მიღწევის მოტივაციას; უფრო გვიანდელმა გამოკვლევებმა, როგორც აღნიშნავს ავტორი, აჩვენეს, რომ მიღწევის მოტივაციის გარდა მეწარმეობისათვის დამახასიათებელია წარუმატებლობისთვის თავის არიდების მოტივაცია. საინტერესოა დასკვნა, რასაც აკეთებს ავტორი - საზოგადოებაში მიღწევის კოლექტიური მოტივაცია, შესაბამისი მექანიზმების არსებობისას, უზრუნველყოფს მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ ზრდას (Макклелланд, 2007).

საინტერესოდ მიგვაჩნია მ. ალეს (1911-2010) მოსაზრება სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, რომელის მიხედვითაც მეწარმეებს შუძლიათ მიაღწიონ საყოველთაო კეთილდღეობას მხოლოდ კონკურენციული გარემოს არსებობის პირობებში, რაც ყალიბდება სოციალური ინსტიტუტებით. როგორც აღნიშნავს ავტორი, სახელმწიფოს შუძლია ინსტიტუციური ჩარჩოების დაწესება და შეცვლა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გამომდინარე ბაზრების ეკონომიკის ეფექტიანობიდან. სწორედ ეს განაპირობებს კულტურისა და ცივილიზაციების აყვავებას და კვდომას (ალე, 2004).

მეწარმეობის თანამედროვე მკვლევარებს შორის უნდა გამოიყოს მენეჯმენტის და ინოვაციური ეკონომიკის ცნობილი თეორეტიკოსი პ. დრუკერი (1909-2005). მან მეწარმეობის ფენომენს შესძინა ახალი კონცეფტუალური ხედვა, რომლის მიხედვითაც მეწარმეების შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები აისახება არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებაზე მთლიანად. როგორც აღნიშნავს ავტორი, ინფორმაციული ეპოქის საზოგადოებაში გადარჩებიან ის მეწარმეები, რომლებიც დროულად იგრობენ ცვლილებების ტენდენციებს და ოპერატიულად მოახდენენ ადაპტირებას ამ ცვლილებებთან. ხოლო ლიდერები გახდებიან ის მეწარმეები, რომლებიც მოახდენენ საქმიანობაში ცვლილებების გენერირებას. პ. დრუკერის აზრით, ინფორმაციული საზოგადოება მოითხოვს გარდაქმნებს არა მარტო სამეურნეო სფეროში, არამედ იგი პრინციპიალურად გარდაქმნის განათლების სისტემას და გააქტიურებს არაკომერციულ ორგანიზაციებს. შრომის ბაზარზე მოთხოვნილი იქნებიან ინელექტუალები, რომლებიც შეძლებენ ახალი იდეების გენერირებას. მოთხოვნილი იქნებიან ასევე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ამ იდეების რეალიზებას. ამასთან, განათლების სისტემის განვითარება მოსალოდნელია ორი მთავარი მიმართულებით: 1) სპეციალისტების მომზადება ცოდნის ფართო მსოფლმხედველობით და შემოქმედებითი უნარჩვევებით; 2) ვიწრო პროფილის სპეციალისტების მომზადება,

შესაბამისი პროფილის მიხედვით სიღრმისეული ცოდნით (Dryker, 2007).

თანამედროვე პირობებში მეწარმეობის შესახებ წარმოდგენების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ცნობილი პერიოდული გამოკვლევების მიხედვით გლობალური მეწარმეობის ინდექსის გაანგარიშების პრობლემეტიკის ფორმატში (ნახ 1):




ნახ. 1. სამეწარმეო ეკოსისტემის კონფიგურაცია (წყარო: Acs at al., 2018; <http://thegeedi.org/>)

როგორც ცნობილია, გლობალური მეწარმეობის ინდექსი მუშავდება გლობალური მეწარმეობის და განვითარების ინსტიტუტის მიერ (The Global Entrepreneurship and Development Institute, Washington, USA). იგი კომპლექსურად ასახავს ყოველ მოცემულ ქვეყანაში მეწარმეობის (სამეწარმეო საქმიანობის) მდგომარეობას. მიმდინარე 2018 წლისათვის მომზადებული მონაცემების მიხედვით ინტეგრალური მაჩვენებლით 137 ქვეყნას შორის საქართველოს უკავია 77-ე ადგილი (შეფასებით 26). ცალკეული ინდიკატორის ჭრილში აშშ (1 ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 84), შვეიცარიის (მე-2 ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 80) და ესტონეთის (23-ე ადგილი, ინტეგრალური შეფასებით 55) მიმართ საქართველო მდგომარეობა გვიჩვენებს იმ გამოწვევებს და პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია (ნახ. 2):

აღნიშნულიდან ყოველი ინდიკატორი ახასიათებს მეწარმეობის გარკვეულ ასპექტს და პასუხობს შესაბამის შეკითხვებს (Acs at al., 2018):

- 1. შესაძლებლობების აღქმა** - შეუძლია თუ არა მოსახლეობას, განსაზღვროს შესაძლებლობები რომ წამოიწყოს ბიზნესი და ინსტიტუციურ გარემოს შეუძლია თუ არა შესაძლებელი გახადოს ამ შესაძლებლობის რეალიზება?
- 2. სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების უნარები** - გააჩნია თუ არა მოსახლეობას აუცილებელი უნარები ისეთი ბიზნესის დასაწყებად, რომელიც დაფუძნებული იქნება საკუთარ აღქმაზე, ასევე უმაღლეს განათლებასა და ცოდნაზე?
- 3. რისკის მიღება** - სურთ თუ არა ცალკეულ პიროვნებებს ბიზნესის დაწყებით რისკის გაწევა? არის თუ არა შესაბამისად დაბალრისკიანი გარემო ან ბიზნესის წამოწყების რისკი იმატებს თუ არა არასტაბილური




ნახ.2. საქართველოს შედარებითი მდგომარეობა მეწარმეობის გლობალური ინდექსის კომპონენტების შესაბამისად (წარმოდგენილია მასალების მიხედვით: <http://thegeedi.org/>)

ინსტიტუტების არსებობის გამო? **4. მეწარმეთა ქსელებში ჩართულობა** – იცნობენ თუ არა ერთმანეთს მეწარმეები და გეოგრაფიულად რამდენად არის კონცენტრირებული მათი ქსელები (კავშირები)? **5. კულტურული მხარდაჭერა** – რა ხელვა აქვს ქვეყანას მეწარმეობის მიმართ? ადვილი არის თუ არა, ამოარჩიო მეწარმეობა ან კორუფცია უფრო ართულებს თუ არა მეწარმეობას სხვა კარიერულ გზებთან შედარებით? **6. ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები** – მეწარმეები შესაძლებლობებით არიან მოტივირებული თუ აუცილებლობით? ქვეყნის მმართველობა უადვილებს თუ არა მეწარმედ გახდომის მსურველს არჩევანის გაკეთებას? **7. ტექნოლოგიების ათვისება** – გააჩნია თუ არა ქვეყანას ფართო ტექნოლოგიური სექტორი ან შეუძლია თუ არა ბიზნესს სწრაფად შეიძინოს და აითვისოს ახალი ტექნოლოგიები? **8. ადამიანისული კაპიტალი** – არიან თუ არა მეწარმეები შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე, კარგად გათვითცნობიერებული ბიზნესში და აქვთ თუ არა მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა შრომის ბაზარზე? **9. კონკურენტუნარიანობა** – ქმნიან თუ არა მეწარმეები უნიკალურ პროდუქციასა და სერვისს და შეუძლიათ თუ არა ამ პროდუქციითა და სერვისით ბაზარზე გასვლა? **10. პროდუქტული ინოვაცია** – გააჩნია თუ არა ქვეყანას შესაძლებლობა, განავითაროს ახალი პროდუქცია და მოახდინოს ახალ ტექნოლოგიებთან ინტეგრაცია (მათი ათვისება)? **11. პროცესული ინოვაცია** – იყენებს თუ არა არსებული ბიზნეს სექტორი ახალ ტექნოლოგიებს და აქვს თუ არა მას (ბიზნეს სექტორს) წვდომა მაღალი ხარისხის ადამიანისულ კაპიტალზე STEM (Science, Technology, Engineering and Mathematics) დარგებში (სფეროებში)? **12. მაღალი ზრდა** – აქვს თუ არა ბიზნეს სექტორს მიზნად დასახული მაღალი ზრდა და გააჩნია თუ არა მას ამ ზრდის მიღწევის

სტრატეგიული არეალი? **13. ინტერნაციონალიზაცია** – სურთ თუ არა მეწარმეებს გლობალურ ბაზარზე გასვლა და არის თუ არა ეკონომიური პოტენციალი საკმარისი, რომ მათ შექმნან იდეები, რაც ღირებული იქნება გლობალური თვალსაზრისით? **14. სარისკო კაპიტალი** – არის თუ არა ხელმისაწვდომი სარისკო კაპიტალის მოძიება როგორც კერძო ასევე ინსტიტუციური ინვესტორებისგან?

ფიქრობთ, საქართველოში ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა და შესაბამისი ინსტიტუციური მოდერნიზაციის ღონისძიებები უნდა იყოს მიმართული აღნიშნული ჩამორჩენების დაძლევისაკენ. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქმიანი კულტურის (როგორც არაფორმალური ინსტიტუტის) სრულყოფა. გამოკვლევები ადასტურებენ (Hofstede, 2004; Bedianashvili, 2014; Didero at al., 2008; Beugelsdijk, 2007; Furman at al., 2002; Geertz, 1973; Herbig and Srholec, 1998; Inglehart and Welzel, 2005; James, 2005; Von Hippel, 2005; Acs, 2006; Barnett, 1953; Beugelsdijk at al., 2014; Brons, 2006; Dickson at al., 2003; Didero at al., 2008; Edler and Fagerberg, 2017; Differences in Innovation Culture Across Europe, 2008), რომ კულტურულ ფაქტორს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა სამეწარმეო და ინოვაციური საქმიანობის ჯეროვანი განვითარებისთვის. რაც შეეხება საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობას, ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის (ნახ. 3), ესაა ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალური გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატიზმის) გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება (Bedianashvili, 2016):



ნახ. 3. არსებული მდგომარეობით კულტურულ ფასეულობათა შედარებითი განლაგება (წარმოდგენილია მასალების მიხედვით: <http://geert-hofstede.com>, საქართველოსთვის პარამეტრები შეფასებულია ექსპერტულად)

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Acs, Z. J., Audretsch, D. B., Braunerhjelm, P. and Carlsson, B., (2005). The Knowledge Spillover Theory of Entrepreneurship, Discussion Papers on Entrepreneurship, Growth and Public Policy, Group Entrepreneurship, Growth and Public Policy, Jena, Germany: Max Planck Institute of Economics.
2. Acs, Z. J., Szerb, L., Lloyd, A., (2018). Global Entrepreneurship Index. Washington, GEDI.
3. Baumol W. J. (1990). Entrepreneurship: Productive, Unproductive and Destructive // Journal of Political Economy. Vol. 98. №5. Pt.1. P. 893-920.
4. Bedianashvili, G., (2014). Culture as an Institution in the Context of Socio-economic Development of Country and International Business. J. "Ekonomisti", No 6. P. 6-16 (Geo).
5. Bedianashvili G. (2016). The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia. Journal "Globalization and Business". European University, № 1, P. 19-25 (Geo)
6. Didero, M., Gareis, K., Marques, P., Ratzke, M. et al. (2008). Differences in Innovation Culture across Europe, Discussion paper, TRANSFORM project report, URL: <http://www.transformeu.org/publications/documents/Differences in Innovation Culture.pdf> (retrieved 10. 7. 2008).
7. Алле М., (2004). Основные направления моей работы / Мировая экономическая мысль. Сквозь призму веков. В 5 т. М.: Мысль.
8. Блауг М. (2008). 100 великих экономистов после Кейнса. - СПб.: Экономическая школа. - 384 с.
9. Веблен Т. (2007). Теория делового предприятия. М.: Дело. – 288 с.
10. Друкер П. (2007). Бизнес и инновации. М.: «Вильямс». - 432 с.
11. Саймон Г. (1995). Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении. СПб.: Экономика – 534 с.
12. Макклелланд Д. (2007). Мотивация человека. СПб.: Питер. – 672 с.
13. Шумпетер Й. А. (2007). Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия. М.: Эксмо. – 864 с.
14. Светульников, М., (2010). Предпринимательство и инновации. Ульяновск.: УлГТУ. – 128 с.
15. ჰასიდი, ჯ., კომსელი, ა., გველესიანი, რ., მექვაბიშვილი, ე., გაგნიძე, ი., ლუკაშვილი, ე., ნაცვალაძე, მ., (2009). მეწარმეობის თეორიული საფუძვლები. თბილისი. - 196 გვ.
16. European Innovation Scoreboard 2008. Comparative Analysis of Innovation Performance (2009), Pro Inno Europe paper No 10, <http://www.proinno-europe.eu/publications> (retrieved, June 2010).
17. Beugelsdijk, S. (2007). 'Entrepreneurial culture, regional innovativeness and economic growth', Journal of Evolutionary Economics, 17(1): 187-210.
18. Furman, J. L., Porter, M. E., Stern, S. (2002), The Determinants of National Innovative Capacity. Research Policy, 31 (6): 899-933. doi:10.1016/S0048-7333 (01)00152-4
19. Geertz, C. (1973). The Interpretation of Cultures, New York, Basic Books.
20. Hofstede, G et al. (2004) 'Culture's role in entrepreneurship: self-employment out of dissatisfaction', in: Brown, T and Ulijn, J. (eds.) 'Innovation, Entrepreneurship and Culture. The interaction between Technology, Progress and Economic Growth', Cheltenham, Massachusetts: Edward Elgar Publishing, pp. 162-203.
21. Hofstede, G. (2011). Dimensionalizing Cultures: The Hofstede Model in Context. Online Readings in Psychology and Culture, 2(1). <https://doi.org/10.9707/2307-0919.1014>.
22. Inglehart, R. and Welzel, C. (2005) 'Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence', Cambridge, MA, et al.: Cambridge University Press.
23. Von Hippel, E. (2005) 'Democratizing innovation, Cambridge, MA: MIT Press.
24. Papava V., (2016). Technological Backwardness - Global Reality and Expected Challenges for the World's Economy. No. 70. Tbilisi, GFSIS, 2016 (Geo).
25. Papava V., (2017). Retroeconomics – a Theory of the Technological Backwardness of Economy. Nowe ścieżki rozwoju w Europie Środkowej i Nowe ścieżki rozwoju At Nałęczów, Poland, 2017. – p.33-37.
26. Acs, Z.J., (2006). How is Entrepreneurship Good for Economic Growth?, Innovations: Technology, Governance, Globalization 1(1), p. 97-107.

27. Dahlstrand, Å. L. and Stevenson, L., (2010). Innovative Entrepreneurship Policy: Linking Innovation and Entrepreneurship in a European Context. *Annals of Innovation & Entrepreneurship*, vol.1. Retrieved 08. 09. 2012, from [http://www.innovationandentrepreneurship.net/index.php/aie/article/view/5602/html\\_34](http://www.innovationandentrepreneurship.net/index.php/aie/article/view/5602/html_34).
28. European Union EU. (2012). The Innovation Union Scoreboard. Research and Innovation Union scoreboard, Retrieved 07. 20. 2012, from <http://www.proinno-europe.eu/metrics>
29. Fagerberg, J. and Srholec, M., (2008). National Innovation Systems, Capabilities and Economic Development, *Research Policy* 37/9, p.1417-1435.
30. Fagerberg, J., Feldman, M., Shorlec, M., (2011). Technological Dynamics and Social Capability: Comparing U.S. States and European Nations, CIRCLE Paper no 11/2011, Lund University.
31. Barnett, H.G. (1953). *Innovation: The basis of cultural change*. New York: Mc Graw Hill.
32. Beugelsdijk, S., Slangen, A., Maseland, R., & Onrust, M. (2014). The impact of home–host cultural distance on foreign affiliate sales: The moderating role of cultural variation within host countries. *Journal of Business Research*, 67(8), 1638-1646.
33. Brons, L. (2006). Indirect measurement of regional culture in the Netherlands, *Tijdschrift voor Economische en Sociale Geografie*, 97(5): 547-566.
34. Dickson, M. W., Den Hartog, D. N., & Mitchelson, J. K. (2003). Research on leadership in a cross-cultural context: Making progress, and raising new questions. *The leadership quarterly*, 14(6), 729-768.
35. Didero, M., Gareis, K., Marques, P., & Ratzke, M. (2008). Differences in innovation culture across Europe. *Transformative Use of ICT in EU Regions*. Transform, Germany.
36. Edler J., Fagerberg, J. (2017).-Innovation policy: what, why, and how. *Oxford Review of Economic Policy*, Volume 33, Number 1, pp. 2–23.
37. Differences in Innovation Culture Across Europe (2008).

## FORMATION OF KNOWLEDGE ECONOMY AND INNOVATIVE ENTREPRENEURIAL POLICY: INSTITUTIONAL ASPECTS

**GIVI BEDIANASHVILI**

Doctor of Economic Sciences, Professor Of European University,  
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia

**KEYWORDS:** KNOWLEDGE ECONOMY, INNOVATIVE ENTREPRENEURIAL POLICY,  
SYNCHRONIZATION INSTITUTIONS

### SUMMARY

The modern stage of globalization is characterized by a number of specific peculiarities of post-industry development, among which, in our view, the formation of knowledge-based economy (knowledge economy) is important. It is noteworthy that globalization complements the knowledge economy with the dimensions of global scale such as resource-technological, informational, communicative and institutional structures.

According to postindustrial theory, the key resource of post-industrial economy is information and knowledge, and the main type of manufacturing activities is the high level of automated production. Among the main technologies, science inclusive technologies are used, and from the types of economic activities, a range of industry services is most common. If in the pre-industrial society agricultural sector was a determining factor, in the industrial society, it is the industry. In the post-industrial society theoretical knowledge in universities (where knowledge is generated

and accumulated) becomes the determinant. These features are clearly reflected in the categories, such as the knowledgeable society, the knowledge society and the knowledge - value society. The important thing here is that the core of the society is the knowledge economy, while human capital is the main factor of development.

It should be noted that in the process of forming the knowledge economy, the innovative aspect of entrepreneurial activities is of a particular importance in the context of all business entities. Therefore, the effectiveness of the overall innovative process depends on the efficient functioning of knowledge-based entrepreneurship, which in its own turn contributes to the development and implementation of innovative entrepreneurial policies by the state. The innovative entrepreneurial policy should envisage the formation of the institutional component, its systematic modernization in dynamics, compliance and synchronization of general formal institutions and business culture as an informal institution.